


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსს
სოფიო კარანაძეს

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, ელზა ლეკვეიშვილის

2016 წლის ანგარიში



❖ ზოგადი ინფორმაცია - საკრებულოს მაჟორიტარი წევრი რუსთავის
#20 საარჩევნო ოლქის მე-9

ზონიდან.

სამაჟორიტარო ტერიტორია - რუსთავი, 20-21 მიკრორაიონები.

2014 წლის ივნისიდან დღემდე - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

ფრაქციის- „ქართული ოცნება“ - წევრი

❖ ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში და კომისიებში მუშაობის შესახებ:

ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 22

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა - 18

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა - 11

❖ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:

#24 სხდომა- 3 თებერვალი

- ა.(ა)იპ. „სახელოვნებო გაერთიანების“ ხელმძღვანელის მოსმენა;
- მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის მოსმენა

#25 სხდომა - 24 თებერვალი

- ა.(ა)იპ. „რუსთავის ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ხელმძღვანელის მოსმენა;
- ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოსმენა.

#26 სხდომა- 31 მარტი

- რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელის მოსმენა ცენტრის მუშაობასთან დაკავშირებით;
- მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მოსმენა სოციალური საცხოვრებლის მოწყობის შესახებ.

#27 სხდომა– 27 აპრილი

- სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის განხილვა.

#28 სხდომა - 25 მაისი

- „უფასო სასაბუღალტრო“ მდგომარეობის განხილვა.

#29 სხდომა – 24 ივნისი

- ქალაქ რუსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა ჩარიცხვის წესის შესახებ;

- 2016-2017 წლებში ბაგა-ბალებში სააღმზრდელო ჯგუფების დამატების შესახებ.

30 სხდომა – 10 აგვისტო

- ა.(ა)იპ ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოსმენა ბაგა-ბალებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის წესში ცვლილების შეტანის და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ;
- მერიის სოციალური სამსახურის განყოფილების უფროსის და „უფასო სასაბუღალტრო“ წარმომადგენლის მოსმენა.

31 სხდომა- 28 სექტემბერი

- მერიის სოციალური სამსახურის უფროსის მომენა „უფასო სასაბუღალტრო“ არსებული მდგომარეობის შესახებ;
- ა.(ა)იპ „ახალგაზრდობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი“-ს ხელმძღვანელის მოსმენა;
- ქ. რუსთავის „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორის წერილის განხილვა.

32 სხდომა- 25 ოქტომბერი

- ა.(ა)იპ. „რუსთავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ს ხელმძღვანელის მოსმენა;
- ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“-ს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადების განხილვა.

33 სხდომა - 8 ნოემბერი

- სსიპ ქალაქ რუსთავის N26 საჯარო სკოლის დირექტორის (N28998/02) წერილის განხილვა;
- აა(ი) პ. „რუსთავის ბაგა-ბალების გაერთიანების“ ხელმძღვანელის მოსმენა.

❖ ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილები, წინადადებების და განხილვების შესახებ:

- ამომრჩეველთა მიღება მაჟორიტარის ოფისში;
- ✓ მიღების დღე - კვირის ყველა სამუშაო დღე;
- ✓ 2016 წელს მაჟორიტარის ოფისში მივიდა - 77 ადამიანი,
- ✓ დეპუტატს განცხადებით მიმართა - 6 მოქალაქემ;

- ✓ მაჟორიტარი დეპუტატი პირადად შეხვდა - 36 მოქალაქეს;
- ✓ გასვლითი შეხვედრა მოეწყო - 56 მისამართზე;
- ✓ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია - 62 მოქალაქეს.

❖ თანამშრომლობა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან:

- სამუშაო შეხვედრები ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერთან დავით ჯიქიასთან;
- მონაწილეობა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომებსა და მათ მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში;
- სამუშაო შეხვედრები ქ. რუსთავის მერიის და ა.(ა)იპ. სამსახურებთან.

❖ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის” წევრი

❖ ქ. რუსთავის 20-21 მიკრორაიონებში განხორციელებული ღონისძიებები:

• რეაბილიტაცია:

1. რბილი სახურავი-5
2. წყალსაწრეტი მილი-1
3. სართულშუა ნაპრალები-3
4. შიდა წყალკანალიზაცია-1
5. სადარბაზოს კარების დამზადება-2

• გარე განათება:

1. მე-20 მ/რ -ში ახალ გზაზე დამონტაჟდა 1 ბეტონის ბოძი, 19 სანათი და 330 მ სადენი.
2. 21-მ/რ #7 -ში გაკეთდა 2 სანათი, დამონტაჟდა 1 ბეტონის ბოძი, 85მ სადენი.

3. 21-მ/რ #3 -ში დამონდაჟდა 1 ბოძი, 1ც. სანათი და 30 მ. სადენი.
 4. ჩერკასკის ქ. (მე-20-ე და 21 მ/რ-ს გამყოფი ქუჩა) დამონტჟდა 1 ცალი ბოძი და 1 ცალი სანათი.
 5. რეგულარაღად ხდება შუქნიშნებისა და მონიტორების კონტროლირება და შეკეთება.
 6. განათების ბოძებზე შეცვლილია 1000-მდე ნათურა „ინჟექტორი“ და „დროსელი“
- 21-მ/რ #21 ბინის ეზოში არსებულ საბავშვო გასართობ სვერში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები კერძოდ: აღდგა ლითონის დაზიანებული ატრაქციონები, სასრილოები, აღდგა დამტვრეული და დაზიანებული სკამები, შეიღება სხვადასხვა ფერში.
 2. 20-ე მ/რ #10 ბინის ეზოში მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე დემონტჟი ჩატარდა საბავშვო გასართობ მოედანს, ვინაიდან აღდგენას აღარ დაეჟვემდებარა.
 - გამწვანება:
 1. 20-ე 21-ე მ/რ ტერიტორიაზე გამწვანების ზოლებში მოეწყო ე.წ. დეკორატიული კუნძულები სადაც დაირგო სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები.
 2. ქუთაისის მოედნიდან შარტავას ქუჩის მოედნამდე გამწვანების შუა ზოლში დაირგო დეკორატიული ბუჩქები.
 3. გამწვანდა ყოფილი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ გზის გამყოფი ზოლი.
 4. გაითიბა 2 ჰექტრამდე ფართობი.
 5. მოქალაქეებიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე გადაიბელა ხეები.
 - სანიაღვრე ქსელები:
 1. სანიაღვრე ქსელები გაიწმინდა ქუთაისის ქუჩაზე, 20-ე და 21-ე მ/რ-ის გამყოფ ქუჩაზე.
 2. ლეონიძის ქუჩის გაგრძელებაზე შეიცვალა დამტვრეული ნიაღვარმიმღები ჭების სახურავები.
 - პანდუსები:
 1. 21-ე მ/რ №15
 2. 21-ე მ/რ №16

- 21-ე მ/რ №6 კორპუსის მიმდებარედ მოხდა ჭაობის ამოშრობა და მიწით ამოვსება.

- სტადიონები:

1. 21-მ/რ №10

2. 20-ე მ/რ №1

- კომპანია „რუთავისწყლის“ მიერ ქუთაისის ქუჩაზე შეიცვალა სასმელი წყლის ცენტრალური მილი.

- სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები:

1. 20-ე მ/რ . 25-ე სკოლა და საბავშვო ბაღთან.

2. შარტავას ქუჩის შუა გამყოფი ზოლის მოწყობა.

- 13 ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა:

1. მედიკამენტები-427 ოჯახი (42 700 ლარი).

2. ოპერაციები-150 ადამიანი (94 886 ლარი).

- განსახორციელებელი სამუშაოები:

წყალი, კანალიზაცია, პარაპეტი, რბილი გადახურვა, სენსორული განათება, რკინის კარები, ფასადის რეაბილიტაცია, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის შეკეთება, სპორტული მოედნები, შიდა ეზოების საფარი, სანაგვე ბუნკერების გაუქმება, ლიფტების მოწესრიგება.

შეხვედრები „ენერგოპრო ჯორჯია“-ს, „სოკარ გაზი“-ს და „რუსთავისწყალი“-ს ხელმძღვანელობასთან არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

- ❖ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

- უფასო სასადილოების შემოწმება;

- საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის გაცნობა;

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების დათვალიერება და მედპერსონალთან გასაუბრება;

❖ თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ტრენინგები და კონფერენციები:

- საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მეორე კონფერენცია;
- სამოქალაქო საზოგადოება ქალთა დემოკრატიისთვის- ტრენინგი;
- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - ტრენინგი;
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი - ტრენინგი;

- სახალხო დამცველის აპარატი- ტრენინგი

